

# კორპორაციული მართვა სადაზღვევო კომპანიაში

ნანა კოპალიანი

მელანო არსენიძე

თამარ კვანტალიანი

*სამაგისტრო ნაშრომიწარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლის (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

*სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ღვალაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ნანა კოპალიანი

მელანო არსენიძე

თამარ კვანტალიანი

## აბსტრაქტი

საერთაშორისო ბაზარზე კომპანიების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციები. განსაკუთრებით კი, კომპანიებისთვის, რომლებსაც ჰყავთ დიდი რაოდენობის მომხმარებელი, ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია.

მოცემული ნაშრომის საკვლევ თემას და საკითხს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიების კორპორაციული მართვის სტრუქტურა, რომელიც განხილულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კორპორაციული მართვის პრინციპებზე დაყრდნობით და კონკრეტულად, რომელ მათგანზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სადაზღვევო კომპანიებმა. მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ, რა როლს ასრულებს ორგანიზაციული სტრუქტურა სადაზღვევო კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში.

სადისერტაციო ნაშრომისათვის, კვლევის ფარგლებში მოხდა სს არდი დაზღვევის მომხმარებლების რაოდენობრივი კვლევა, რის შედეგადაც ნაშრომში წარმოდგენილია ორგანიზაციული სტრუქტურის აუცილებლობა სადაზღვევო კომპანიებისათვის, როგორც სააქციო საზოგადოებისათვის.

კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს რამდენად არიან სადაზღვევო კომპანიის მიერ ინფორმირებულნი მომხმარებლები კორპორაციული მართვის შესახებ. ასევე, რამდენად არიან დაინტერესებულნი მზღვეველი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურით, ოპერაციული მუშაობით და პროცესებით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა, რომ დაზღვეულებში არ არის ჯერ კიდევ კარგად ჩამოყალიბებული კორპორაციული მართვის კულტურა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიის არჩევისას სხვისი რეკომენდაციით ხელმძღვანელობენ.

**ძირითდი საძიებო სიტყვები:** კორპორაციული მართვა, OECD პრინციპები, სადაზღვევო კომპანია, ორგანიზაციული სტრუქტურა, სააქციო საზოგადოება, სადაზღვევო ბაზარი, მმართველობითი სტრუქტურა, ორგანიზაცია.

## Abstract

Investments are important for development of companies on international market. Especially, for companies that have a lot of customers and such an organization is insurance company.

The topic and task of this research is Corporative Management Structure of Insurance Companies that is discussed based on principles of Organization for Economic Cooperation and Development (OECD), in particular on which of them should insurance companies focus. It is important to underline what is the role of organizational structure for proper functioning of insurance company.

In the frames of this research it was studied customers of JSC ARDI Insurance Company and as a result it is shown how important is organizational structure for insurance companies such as Joint Stock Companies.

Target of this research is how the customers are informed about corporative management of insurance company. Also, how customers are interested in operating processes of company.

Based on the research it is concluded that among insured persons there is not developed corporative management culture. Unfortunately, many of the customers choose insurance companies on someone's recommendations.

**Key search words:** Corporate Governance, OECD Principles, insurance company, organizational structure, joint stock company, insurance market, management structure, organization.